

კონვენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ

მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ
1946 წლის 13 თებერვალს

ვინაიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 104-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ორგანიზაცია მისი თითოეული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სარგებლობს სამართალსუბიექტის იმგვარი უფლებებით, რაც აუცილებელია მისი ფუნქციების განხორციელებისათვის და მისი მიზნების მიღწევისათვის, და

ვინაიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 105-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ორგანიზაცია მისი თითოეულ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სარგებლობს ისეთი პრივილეგიებისა და იმუნიტეტებით, რაც აუცილებელია მისი მიზნების მიღწევისათვის და, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების წარმომადგენლები და ორგანიზაციის თანამდებობის პირები ასევე სარგებლობენ იმგვარი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რაც აუცილებელია ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებით მათი ფუნქციების დამოუკიდებლად განხორციელებისათვის.

შედეგად გენერალურმა ასამბლეამ, 1946 წლის 13 თებერვალს მიღებული რეზოლუციით, დაამტკიცა შემდეგი კონვენცია და იგი შეერთებისათვის წარუდგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

მუხლი I

იურიდიული პირის სტატუსი

ნაწილი 1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აქვს იურიდიული პირის სტატუსი. მას აქვს უფლებამოსილება:

- a) დადოს კონტრაქტები;
- b) შეიძინოს და განკარგოს უძრავი და მოძრავი ქონება;
- c) აღძრას სასამართლოში საქმე.

მუხლი II

ქონება, ფონდები და აქტივები

ნაწილი 2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მისი ქონება და აქტივები, სადაც უნდა მდებარეობდეს და ვის მფლობელობაშიც უნდა იმყოფებოდეს, სარგებლობს იმუნიტეტით სამართალწარმოების ნებისმიერი ფორმის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თვითონ ორგანიზაცია პირდაპირ იტყვის უარს იმუნიტეტზე რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში. თუმცა, იგულისხმება, რომ იმუნიტეტზე არანაირი უარის თქმა არ ვრცელდება სასამართლო სააღსრულებლო წარმოებაზე.

ნაწილი 3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნაგებობები ხელშეუხებელია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქონება და აქტივები, სადაც არ უნდა მდებარეობდნენ და ვის მფლობელობაში არ უნდა იმყოფებოდეს, სარგებლობს იმუნიტეტით რეკვიზიციისაგან, კონფისკაციისაგან, ექსპროპრიაციისაგან და აღმასრულებელი, ადმინისტრაციული, სასამართლო ან საკანონმდებლო ჩარევის სხვა ფორმებისაგან.

ნაწილი 4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივები და ზოგადად, მისი კუთვნილი ან მის განკარგულებაში არსებული ყველა დოკუმენტი, ხელშეუხებელია, მიუხედავად მათი მდებარეობისა.

ნაწილი 5. რაიმე სახია ფინანსური კონტროლით, წესებით ან მორატორიუმით შეზღუდვის გარეშე.

- a) გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უფლება აქვს ფლობდეს ფონდებს, ოქროს ან ნებისმიერ ვალუტას და ანაზორციელებდეს ოპერაციებს ნებისმიერ ვალუტაში;
- b) გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისუფალია ვადაციხოს მისი ფონდები, ოქრო ან ვალუტა ერთი ქვეყნიდან მეორეში ან რომელიმე ქვეყნის ფარგლებში, და მოახდინოს მის ხელთ არსებული ვალუტის კონვერტაცია რომელიმე სხვა ვალუტაში.

ნაწილი 6. მე-5 ნაწილის თანახმად მისი უფლებების განხორციელებისას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს წევრი სახელმწიფოს მთავრობის მოსაზრება, რამდენადაც ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ამგვარი მოსაზრება შეიძლება იქნას გათვალისწინებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

ნაწილი 7. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მის აქტივები, შემოსავალი და სხვა ქონება:

- a) თავისუფლება ყველა პირდაპირი გადასახადისაგან, თუმცა იგულისხმება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ მოითხოვს იმ გადასახადებისაგან გადავიწყუფლებას, რომლებიც წარმოადგენენ კომუნალურ მომსახურებისათვის ვაჭრებს ხაზულას;
- b) თავისუფლება საბაჟო გადასახადებისაგან და იმპორტის და ექსპორტის აკრძალვებისაგან და შეზღუდვებისაგან იმ საგნებთან დაკავშირებით, რომლებიც შემოტანილია ან გატანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მისი ოფიციალური მოხმარებისათვის. თუმცა, იგულისხმება, რომ ამ შეღავათიანი პირობებით შემოტანილი საგნები არ იქნება რეალიზებული იმ ქვეყანაში, სადაც ისინი იქნა იმპორტირებული, გარდა ამ ქვეყნის მთავრობასთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად;
- c) მის გამოცემებთან დაკავშირებით თავისუფლება საბაჟო გადასახადებისაგან და იმპორტის და ექსპორტის აკრძალვებისაგან და შეზღუდვებისაგან.

ნაწილი 8. თუმცა, როგორც წესი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ მოითხოვს აქციზისაგან და იმ გადასახადებისაგან გათავისუფლებას, რომლებიც შედის მოძრავი და

უძრავი ქონების გაყიდვის დროს შესაძენ ფასში. მიუხედავად ამისა, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ოფიციალური მიზნებისათვის ახორციელებს იმ ქონების მნიშვნელოვან შესყიდვებს, რომელიც დაბეგრულია ან დაბეგვრას ექვემდებარება, ორგანიზაციის წევრები ყოველთვის, როდესაც ეს შესაძლებელია, გადასახადებისაგან გათავისუფლების ან უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მიზნით მიიღებენ შესაბამის ადმინისტრაციულ ზომებს.

მუხლი III

საკომუნიკაციო საშუალებები

ნაწილი 9. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მისი ოფიციალური კომუნიკაციისათვის მისი თითოეული წევრის ტერიტორიაზე სარგებლობს იმაზე არანაკლები მოპყრობით, რომლებიც ენიჭებათ ამ წევრი სახელმწიფოს მთავრობის მიერ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს მთავრობას, მისი დიპლომატიური მისიებები ჩათვლით, ფოსტის, დეპეშის, ტელეგრამების, რადიოგრამების, ტელეფონებისა, სატელეფონო და კავშირის სხვა საშუალებებთან დაკავშირებით, პრიორიტეტებთან, ტარიფებთან და გადასახადებთან ასევე პრესისათვის ინფორმაციის და რადიოსათვის გადაცემისათვის დადგენილი ტარიფებთან დაკავშირებით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ კორესპონდენციაზე და სხვა ოფიციალური კომუნიკაციებზე დაუშვებელია რაიმე ცენზურის დაწესება.

ნაწილი 10. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უფლება აქვს გამოიყენოს კოდები და გაგზავნოს და მიიღოს მისი კორესპონდენცია კურიერის ან ვალიზების საშუალებით, რომლებიც სარგებლობენ იგივე პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რითაც დიპლომატიური კურიერები და ვალიზები.

მუხლი IV

წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები

ნაწილი 11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად და დამატარე ორგანოებში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოწვეულ კონფერენციებზე წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები, მათი ფუნქციების შესრულებისას და მხვედრის ადგილასდე და უკან მგზავრობისას სარგებლობენ შემდეგი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით:

- a) იმუნიტეტით პირადი დაპატიმრებისაგან ან დაკავებისაგან და მათი პირადი ბარგის დაკავებისაგან, ასევე იმუნიტეტით ყველანაირი სასამართლოს პროცესისაგან მათ მიერ წარმომადგენლის სტატუსით გაკეთებულ ნებისმიერ ნათქვამთან, დაწერილთან ან მოქმედებასთან დაკავშირებით;
- b) საბუთების და დოკუმენტების ხელშეუხებლობით;
- c) უფლებით გამოიყენონ კოდები და მიიღონ საბუთები ან კორესპონდენცია კურიერის ან დალუქული ვალიზების მეშვეობით;
- d) თვითონ და მათი მეუღლეები თავისუფლდებიან საემიგრაციო შეზღუდვებისაგან, უცხოელთა რეგისტრაციის ან სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვალდებულებებისაგან იმ სახელმწიფოში, სადაც იმყოფებიან ან რომელსაც გაივლიან მათი ფუნქციების შესრულებისას;

e) იგივე შედეგებით ვალუტასთან ან გადაცვლის შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომლებიც ენიჭებათ უცხო სახელმწიფოს მთავრობების წარმომადგენლებს დროებითი ოფიციალური მისიების დროს;

f) იმუნიტეტებით და შედეგებით პირად ბარგთან დაკავშირებით, დიპლომატიური წარმომადგენლების მსგავსად; და ასევე

g) სხვა პრივილეგიებით, იმუნიტეტებით და შედეგებით, რომლებიც არ არის შეუსაბამობაში ზემოთ აღნიშნულთან, რითაც სარგებლობენ დიპლომატიური წარმომადგენლები, იმათ გარდა, რომ მათ არ ექნებათ უფლება მოითხოვონ გათავისუფლება საბაჟო გადასახადისაგან შემოტანილ საქონელთან დაკავშირებით (მათი პირადი ბარგის გარდა) ან აქციზისაგან ან ბრუნვის გადასახადისაგან.

ნაწილი 12. იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად და დამხმარე ორგანოებში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოწვეულ კონფერენციებზე წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისათვის უზრუნველყოფილი იქნას, სიტყვის და მათი ფუნქციების დამოუკიდებლად განხორციელების სრული თავისუფლება სასამართლო პროცესთან იმუნიტეტი მათი მიერ მათი მოვალეობების შესრულებისა წარმოთქმული, დაწერილი ან შეხებისმიერ მოქმედებასთან დაკავშირებით, კვლავ გავრცელდება მათზე, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი პირები აღარ არიან წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები.

ნაწილი 13. როდესაც რაიმე ფორმით გადასახადების დაწესება დამოკიდებულია რეზიდენტობაზე, დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად და დამხმარე ორგანოებში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოწვეულ კონფერენციაზე წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები იმყოფებიან რომელიმე სახელმწიფოში მათი მოვალეობების შესასრულებლად, არ უნდა ჩაითვალოს რეზიდენტობის პერიოდად.

ნაწილი 14. წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებს პრივილეგიები და იმუნიტეტები ენიჭებათ არა როგორც ცალკეული პირებისათვის პირადი გამორჩენისათვის, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან დაკავშირებით მათი ფუნქციების განხორციელების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. ამიტომ წევრ სახელმწიფოს აქვს არა მხოლოდ უფლება, არამედ ასევე ვალდებულია მოუხსნას იმუნიტეტი მის წარმომადგენელს ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც წევრი სახელმწიფოს აზრით იმუნიტეტი ხელს შეუშლის მართლმსაჯულების აღსრულებას და მისი მოხსნა შესაძლებელია იმ მიზნის შეუღახავად, რა მიზნისათვისაც იქნა ეს იმუნიტეტი მინიჭებული.

ნაწილი 15. მე-11, მე-12 და მე-13 ნაწილების დებულებები არ ვრცელდება წარმომადგენლებსა და სახელმწიფოს ორგანოებს შორის, რომლის მოქალაქეც არის ის, ან რომლის წარმომადგენელიც იყო ან არის იგი.

ნაწილი 16. ამ მუხლში გამოთქმა „წარმომადგენლები“ მიიჩნევა, რომ მოიცავს ყველა დელეგატს, დელეგატების მოადგილეებს, მრჩეველებს, ტექნიკურ ექსპერტებს და დელეგაციების მდივნებს.

მუხლი V

თანამდებობის პირები

ნაწილი 17. გენერალური მდივანი განსაზღვრავს თანამდებობის პირების კატეგორიებს, რომლებზეც გავრცელდება ამ მუხლის და VII მუხლის დებულებები. იგი ამ კატეგორიებს წარუდგენს გენერალურ ასამბლეას. რის შემდეგაც ეს კატეგორიები ეცნობება ყველა წევრი სახელმწიფოს მთავრობას. ამ კატეგორიებში შეტანილი თანამდებობის პირების გვარები დრო და დრო უნდა ეცნობოს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს.

ნაწილი 18. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამდებობის პირები:

- a) სარგებლობენ იმუნიტეტით სასამართლო პროცესისაგან მათ მიერ წარმოთქმულთან ან დაწერილთან დაკავშირებით ან ყველა ქმედებასთან დაკავშირებით, რომლებიც განხორციელებულია მათ მიერ რეგულარულ თანამდებობის პირების მიერ;
- b) თავისუფლდებიან გადასახადებისაგან ხელფასთან და გასამრჯელოსთან დაკავშირებით, რომელსაც მათ უხდის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;
- c) თავისუფლდებიან სახელმწიფო სამსახურებრივი ვალდებულებებისაგან;
- d) თავისუფლდებიან, მათ მეუღლეებთან და ნათესავებთან ერთად, რომლებიც იმყოფებიან მათ კმაყოფაზე, საემიგრაციო შეზღუდვებისაგან და უცხოელთა რეგისტრაციისაგან;
- e) ვალუტის გადაცვლასთან დაკავშირებით სარგებლობენ იგივე შეღავათებით, რომლებიც ენიჭებათ შესაბამისი რანგის თანამდებობის პირებს, რომლებიც შედიან შესაბამის მთავრობის დიპლომატიური მისიების შემადგენლობაში;
- f) საერთაშორისო კრიზისების დროს მეუღლეებთან და მათ კმაყოფაზე მყოფ ნათესავებთან ერთად სარგებლობენ რეპატრიაციის იგივე შეღავათებით, როგორც დიპლომატიური წარმომადგენლები;
- g) თანამდებობის პირველად დაკავებისას უფლება აქვთ დაუბეგრავად შემოიტანონ მათი ავეჯი და ქონება შესაბამის ქვეყანაში.

ნაწილი 19. მე-18 ნაწილში მითითებულ იმუნიტეტებთან და პრივილეგიებთან ერთად, გენერალური მდივანი და გენერალური მდივანის ყველა თანაშემწეს, მათ მეუღლეებს და მცირეწლოვან შვილებს ენიჭებათ პრივილეგიები და იმუნიტეტები და შეღავათები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ენიჭებათ დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

ნაწილი 20. თანამდებობის პირებს პრივილეგიები და იმუნიტეტები ენიჭებათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესებში და არა პირადი გამორჩენისათვის. გენერალური მდივანი გააჩნია უფლება და ვალდებულება მოუხნას იმუნიტეტი ნებისმიერ თანამდებობის პირს ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მისი აზრით, იმუნიტეტი აფერხებს მართლმსაჯულების აღსრულებას და იმუნიტეტის მოხსნა შესაძლებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესების შეუღალავად. გენერალური მდივანი შემთხვევაში, იმუნიტეტის მოხსნის უფლება აქვს უშიშროების საბჭოს.

ნაწილი 21. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მუდმივად თანამშრომლობს წევრი სახელმწიფოების შესაბამისს ორგანოებთან იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების აღსრულებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და ამ მუხლში ნახსენები პრივილეგიების, იმუნიტეტების და შეღავათების ბოროტად გამოყენების აღკვეთას.

მუხლი VI

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტები მივლინებებში

ნაწილი 22. ექსპერტები (გარდა თანამდებობის პირების, რომლებსაც ეხება V მუხლი), რომლებიც იმყოფებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მივლინებებში, ენიჭებათ ისეთი პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომლებიც აუცილებელია მათი მივლინების განმაღვლობაში მათი ფუნქციების დამოუკიდებლად განხორციელებისათვის, მივლინებებთან დაკავშირებული მგზავრობის დროის ჩათვლით. კერძოდ, მათ ენიჭებათ:

- a) იმუნიტეტი პირადი დაპატიმრებისაგან ან დაკავებისაგან და მათი პირადი სარგისი დასაცემის საგან;
- b) ყველანაირი სასამართლო პროცესუალური იმუნიტეტი მათ მიერ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას ნათქვამთან ან დაწერილთან და მოქმედებასთან დაკავშირებით. სასამართლო პროცესუალური იმუნიტეტი აგრძელებს მოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი პირები აღარ იმყოფებიან მივლინებებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებით;
- c) ყველა საბუთის და დოკუმენტის ხელშეუხებლობა;
- d) ეუფლება გამოიყენონ კოდეზი და მიიღონ საბუთები და კორესპონდენცია კურიერების და ვალიზების მეშვეობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მათი კავშირის მიზნებისათვის;
- e) ვალუტა გადაცვლასთან დაკავშირებით იგივე შეღავათები, რომლებიც ენიჭებათ უცხო მთავრობების წარმომადგენლებს დროებით ოფიციალური მივლინებისას;
- f) იგივე იმუნიტეტები და შეღავათები მათ პირად ბარგთან დაკავშირებით, რომლებიც ენიჭებათ დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

ნაწილი 23. ექსპერტებს პრივილეგიები და იმუნიტეტები ენიჭებათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესებში და არა პირადი გამორჩენისათვის. ექსპერტებს უფლება აქვს უფლება და ვალდებულება ნებისმიერ ექსპერტს მოუხსნას იმუნიტეტი ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მისი აზრით, იმუნიტეტი შეაფერხებს მართლმსაჯულების აღსრულებას და მისი მოხსნა შესაძლებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

მუხლი VII

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშვი

ნაწილი 24. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უფლება აქვს მის თანამდებობის პირებზე გასცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშვი. ეს საშვიები წევრი სახელმწიფოების ორგანოების მიერ 25 ნაწილის დებულებების გათვალისწინებით, აღიარებული და მიღებული უნდა იქნას, როგორც მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი.

ნაწილი 25. ვიზის განაცხადები (სადაც მოითხოვება) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშვის მფლობელებისათვის, როდესაც ახლავს მოწმობა, რომ ისინი მოგზაურობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმეებზე, უნდა იქნას განხილული რაც შეიძლება სწრაფად. დამატებით, ამ პირებს, უნდა მიენიჭოთ შეღავათები სწრაფი გადაადგილებისათვის.

ნაწილი 26. 25-ე ნაწილში მითითებული შეღავათების მსგავსი შეღავათები უნდა მიენიჭოთ ექსპერტებს და სხვა პირებს, რომლებიც, თუმცა არ ფლობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშვს, მაგრამ გააჩნიათ მოწმობა, რომ ისინი მოგზაურობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმეებზე.

ნაწილი 27. გენერალური მდივანი, გენერალური მდივნის თანაშემწე და დირექტორები, რომლებიც მგზავრობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმეებზე, უნდა მიენიჭოთ იგივე შეღავათები, რომლებიც ენიჭებათ დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

ნაწილი 28. ამ მუხლის დებულებები შესაძლებელია გავრცელდეს სპეციალური დაწესებულებების შესაბამის თანამდებობის პირებზე, იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს წესდების 63-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის შესახებ შეთანხმებები.

მუხლი VIII

დავების მოგვარება

ნაწილი 29. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიიღებს დებულებებს, რათა სათანადო გზით იქნეს მოგვარებული:

- a) დავები, რომლებიც წარმოიშობა კონტრაქტებისაგან ან კერძო სასართლებრივი ხასიათის დავებისაგან რომლის მხარეც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;
- b) დავები, რომელიც მლიცფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელიმე თანამდებობის პირს, რომელიც მისი ოფიციალური თანამდებობის ძალაში სარგებლობს იმუნიტეტით, თუ იმუნიტეტი არ იქნა მოხსნილი გენერალური მდივნის მიერ.

ნაწილი 30. ყველა უთანხმოება, რომლებიც წარმოიშობა წინამდებარე კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით, უნდა გადაეცეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მხარეების შეთანხმდნენ მოგვარების სხვა საშუალებაზე. იმ შემთხვევაში, თუ უთანხმოება ერთის მხრივ წარმოიშობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მეორეს მხრივ წევრს სახელმწიფოს შორის, მოითხოვება საკონსულტაციო მოსაზრება წესდების 96-ე მუხლის და სასამართლოს სტატუტის 65-ე მუხლის თანახმად. სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნას მხარეებისათვის გადასწავლითა.

დასკვნითი დებულებები

ნაწილი 31. წინამდებარე კონვენცია შესაერთებლად წარედგინება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ნაწილი 32. შეერთება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დოკუმენტის დეპონირებით და კონვენცია თითოეულ წევრ სახელმწიფოსთან მიმართებაში ძალაში შედის შეერთების დოკუმენტის დეპონირების დღეს.

ნაწილი 33. გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თითოეულ წევრ სახელმწიფოს აცნობებს თითოეული შეერთების დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

ნაწილი 34. ივარაუდება, რომ რომელიმე წევრი სახელმწიფო სახელით შეერთების დოკუმენტის დეპონირებისას, ამ წევრ სახელმწიფოს ექნება შესაძლებლობა მისი კანონმდებლობის მიხედვით შეასრულოს წინამდებარე კონვენციის პირობები.

ნაწილი 35. წინამდებარე კონვენცია ინარჩუნებს ძალას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მის თითოეულ წევრ სახელმწიფოს შორის, რომელიმე მოახდინა შეერთებას დოკუმენტის დეპონირება, მანამ სანამ ეს წევრი სახელმწიფო არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, ან სანამ გენერალური ასამბლეა არ დამტკიცებს გადასინჯულ საერთო კონვენციას და ეს წევრი სახელმწიფო გახდება ამ გადასინჯული კონვენციის მონაწილე.

ნაწილი 36. გენერალურ მდივანს შეუძლია ნებისმიერ წევრ სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოებთან დადოს დამატებითი შეთანხმებები, რომლებიც არეგულირებენ წინამდებარე კონვენციის დებულებებს, რამდენადაც ეს ეხება შესაბამის წევრ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს. ამგვარი დამატებითი შეთანხმება თითოეულ შემთხვევაში ექვემდებარება გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებას.